ტურისტული სერვისების ინდუსტრიის (თემატური პარკები და სათავგადასავლო ტურიზმი) მინიმალური კრიტერიუმები და მათთან დაკავშირებული სერვისები

1. ტურისტული სერვისების ინდუსტრიის (თემატური პარკები და სათავგადასავლო ტურიზმი) მინიმალური კრიტერიუმები

ზემოთ აღნიშნული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურული ბაზა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით ობიექტი უნდა უზრუნველყოფდეს:

- ობიექტზე მე-3 პირის (სტუმრის) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევას;
- ჯგუფური ტურისტული აქტივობების შემთხვევაში, ერთდროულად (დროის ერთ მონაკვეთში) არანაკლებ 20 ადამიანის მომსახურებას;
- ინდივიდუალური ტურისტული აქტივობების შემთხვევაში, ერთდროულად (დროის ერთ მონაკვეთში) არანაკლებ 5 ადამიანის მომსახურებას;

ბ) თემატური პარკების ეთნო/ეთნოგრაფიული პარკების მიმართულებით ობიექტი უნდა უზრუნველყოფდეს:

- ძველი დროის პერიოდის სიმულაციას, რომელიც გამოხატავს ძველი ტრადიციებისა და კულტურის, ბუნებრივი და ისტორიული გარემოს იმიტაციას. ამ დანართის როგორც „ა“, ასევე „ბ“ ნაწილის მიზნებისათვის სავალდებულოა:

  - **ლიფტი – თუ შენობა 2-ზე მეტსართულიანია:**

- გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიფტი არაეფექტიანია ტექნიკურ-ეკონომიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით და არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობა (რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტაციით):
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული მახასიათებლებიდან გამომდინარე, სალიფტე შახტის შესრულება შეუძლებელია;
- შენობა-ნაგებობა განთავსებულია ისეთ რთულ რელიეფზე (ფერდობზე, ტერასაზე და სხვა), რომელიც არ იძლევა სალიფტე შახტის შესრულების საშუალებას;
- არ შეესაბამება შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და საყოფაცხოვრებო ნორმებს;
- თუ შენობა-ნაგებობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და მისი ადაპტაცია გამოიწვევს ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას.

  - **სანიტარიული კეთილმოწყობა და ელექტრომომარაგება:**

- ობიექტზე გარე განათება;
- შენობის შიდა ფართობის განათება;
- სანიტარიული კვანძი მისაღებ სივრცეში (ხელსაბანი, უნიტაზი, ასევე საჭიროების შემთხვევაში (Wake Park) – საშხაპე);
- ოთახ(ებ)ის, პავილიონ(ებ)ისა და სანიტარიული კვანძის სათანადო განათება და ელექტრომომარაგება.

- **ხმაურის კონტროლი/ჰაერის კონდიცირება:**

– ობიექტის კონდიცირება (გათბობის/გაგრილების სისტემა), საჭიროების შემთხვევაში, აღჭურვილი ინდივიდუალური მართვის საშუალებებით;
– დამხმარე ოთახებისა (საჭიროების მიხედვით) და საზოგადოებრივი ადგილების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობის/გაგრილების სისტემა).

- **უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნა:**

– ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია ქართულ და უცხო ენებზე;
– საევაკუაციო სქემა სტუმრისთვის თვალსაჩინო ადგილას.

- **პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის:**

– ობიექტზე ეტლით მისასვლელი პანდუსი;
– ობიექტის შიგნით შეუფერხებელი გადაადგილება;
– შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ობიექტზე ლიფტით, ეტლით გადაადგილება.

- **კვების ობიექტი:**

– სასადილო ან რესტორანი.

2. ტურისტული სერვისების ინდუსტრიასთან დაკავშირებული სერვისები (აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობები შესაძლოა, განხორციელდეს ასევე ტურისტული სერვისის გაფართოების/გადაიარაღების მიზნობრიობით სესხით/სალიზინგო პროექტით სარგებლობის შემთხვევაშიც)

R 93.11	სპორტული ობიექტების საქმიანობები
R 93.12	სპორტული კლუბების საქმიანობები
R 93.13	ფიტნესის ობიექტები
R 93.19	სხვა სპორტული საქმიანობები
R 93.21	გასართობი პარკებისა და თემატური პარკების საქმიანობები
R 93.29	გართობისა და დასვენების სხვა საქმიანობები
R 90	შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები
R 91.02	მუზეუმების საქმიანობა
R 91.03	ისტორიული ადგილებისა და ნაგებობების და მსგავსი კულტურის ძეგლების ექსპლუატაცია